საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/45

ქ. ბათუმი

19 აგვისტო, **2016** წ.

იმ აბიტურიენტთა რეგისტრაციის წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ, რომლებმაც 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვეს სწავლის უფლება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანების, „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილების, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 6 ივლისის N40 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად **საჯარო სამართლის იურიდიული პირი** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ-ში) ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს მიმდინარე წლის 29 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით.

2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგ მისამართებზე:

ა) **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე:** ბიოლოგია, ეკოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, ზღვის ბიოლოგია, ფარმაცია, ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია, მედიცინა, სტომატოლოგია (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №309);

ბ) **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:** ქართული ფილოლოგია, ისტორია, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა, ფილოსოფია, თურქეთისმცოდნეობა (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №42);

გ) **ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:** მათემატიკა, ფინანსური მათემატიკა, ფიზიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, კომპიუტერული მათემატიკა, გამოყენებითი ფიზიკა (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №210);

დ) **განათლების ფაკულტეტზე:** დაწყებითი განათლება (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №50);

ე) **იურიდიული ფაკულტეტზე:** სამართალმცოდნეობა (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №515);

ვ) **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე:** ფინანსები, მენეჯმენტი, ეკონომიკა, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, მარკეტინგი (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №420);

ზ) **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:** ევროპისმცოდნეობა, ფსიქოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №520) ;

თ) **ტურიზმის ფაკულტეტზე:** ტურიზმი (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №15);

ი) **ტექნოლოგიური ფაკულტეტზე:** მშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ტრანსპორტი, სამთო და გეო-ინჟინერია, არქიტექტურა, აგრონომია, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, აგროეკოლოგია, აგროინჟინერია (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12, ოთახი №102);

3. რეგისტრაციისათვის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

ბ) ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (ატესტატის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) ფოტოსურათი 3 ცალი (3x4), ასევე სურათის ელექტრონული ვერსია (CD დისკი);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);

4. ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის საფასური 2016 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით. საბანკო

რეკვიზიტები განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge.), ველში „სწავლა“.

5. აბიტურიენტთა რეგისტრაციის მიზნით, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს აბიტურიენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება „2015-2016 სასწავლო წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 13 ივლისის N01-08/31 ბრძანების შესაბამისად და რეგისტრირებულ პირთა პირადი საქმების გახსნა.

6. ბსუ–ში აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანება გამოიცეს აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით.

7. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ–ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. ბრძანება შესასრულებლად დაეგზავნოს ბუს-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**